

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“

გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“

პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტის

დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) წარმოადგენს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (შემდგომში „ფედერაცია“) მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც შექმნილია წესდების მოთხოვნათა დაცვით.

1.2. „კომიტეტი“ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, „ფედერაციის“ წესდებით, ფედერაციის წევრთა საერთო კრებისა და ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებებით, ფედერაციის გამგეობის თავჯდომარის განკარგულებებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე საერთაშორისო ნორმებით დადგენილი შესაბამისი ნორმებით და სტანდარტებით.

1.3. „კომიტეტის“ მიზნები და ამოცანებია:

(ა) განიხილოს „ფედერაციის“ წევრების გარიცხვასთან დაკავშირებული საკითხები და წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად. გამგეობის მიერ წევრის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, „კომიტეტი“ ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას „ფედერაციის“ წევრისთვის წევრობის შეჩერების თაობაზე;

(ბ) ზედამხედველობა გაუწიოს „ფედერაციის“ წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და შესრულებას;

(გ) განიხილოს „ფედერაციის“ წევრთა მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხები და წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად.

1.4. „კომიტეტის“ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით „კომიტეტის“ გადაწყვეტილებები სავადებულოა შესასრულებლად „ფედერაციის“ წევრებისთვის.

1.5. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს „ფედერაციის“ გამგეობა.

2. „კომიტეტის“ შემადგენლობა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

2.1. „კომიტეტის“ შემადგენლობა ფორმირდება „ფედერაციის“ სამი წევრისაგან, რომლებიც ინიშნებიან გამგეობის მიერ ორი წლის ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდგომ „კომიტეტის“ წევრებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება ახალი წევრების არჩევამდე.

2.2. „კომიტეტს“ ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

2.3. „კომიტეტის“ ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. „კომიტეტი“ აგრეთვე უფლებამოსილია საკუთარ სხდომაზე მოიწვიოს ფედერაციის წევრი ან/და ნებისმიერი მესამე პირი სათათბირო ხმის უფლებით.

2.4. „კომიტეტის“ თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს „კომიტეტის“ სხდომებს, აგრეთვე წარმოადგენს მას „ფედერაციის“ გამგეობის ან/დაწევრთა საერთო კრებაზე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში „კომიტეტის“ სხდომას ხმის უფლების გარეშე ხელმძღვანელობს „ფედერაციის“ გამგეობის თავმჯდომარე (პრეზიდენტი).

2.5. „კომიტეტის“ სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2.6. „კომიტეტის“ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მისი სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

2.7. „კომიტეტის“ გადაწყვეტილებები დგება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

3. „კომიტეტის“ კომპეტენცია

3.1. „კომიტეტი“ განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

ა. „ფედერაციის“ წევრობის შეჩერების თაობაზე;

ბ. წევრობის შეწყვეტის თაობაზე გამგეობისთვის წინადადების წარგენა დასამტკიცებლად;

გ. ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი ცალკეული წევრის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას;

დ. აძლევს რეკომენდაციას გამგეობას დისციპლინარული ზომების გამოყენების თაობაზე.